საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბ-ნ ი. მერაბიშვილს
ასლი: საქართველოს პრეზიდენტს,
საქართველოს პარლამენტს,
სახალხო დამცველს

ბატონო ივანე,

როგორც მოგეხსენებათ, ა.წ. 8 ივლისს საბურთალოს სასაფლაოზე დარბეულ იქნა 20-ზე მეტი საფლავი. ძარცვის ვერსია, როგორც ამას ა.წ. 9 ივლისის კურიერი იუწყება (იხ. დანართი: DVD ფაილი „ვანდალიზმი სასაფლაოზე“), გამოირიცხა: საფლავები არ არის გაძარცვული, არამედ, ძირითადად, დამტვრეულია თეთრი ჯვრები. წინასწარი შეფასებით, ამ ფაქტს მიეცა რიტუალური დარბევის, ხოლო საპატრიარქოს მიერ – სატანისტური რიტუალი კლასიფიკაცია. საპატრიარქოს წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, საქართველოში არიან სატანისტური ჯგუფები.

დარბევა რომ მუსულმანურ ან ებრაულ სასაფლაოზე მომხდარიყო, ალბათ, მთელი მსოფლიო შეიტყობდა ამას, შეიძრებოდა და აღიძრებოდა ვანდალიზმის წინააღმდეგ, სამართალდამცველები კი სრული ძალისხმევით შეუდგებოდნენ საქმის გამოძიებას. საქართველოში კი ჯვრები შემუსრეს, ქრისტე დაგმეს, მთელი ერი დაამცირეს და ჩვენი მიცვალებულები შეურაცყვეს. მოჰყვება კი ამ ფაქტს ჯეროვანი რეაქცია სამართალდამცველიებისა და ხელისუფლების მხრიდან?

გვინდა გვჯეროდეს, რომ – მოჰყვება. მაგრამ, ცოტა არ იყოს, გაუგებრობაში ვართ იქიდან გამომდინარე, რომ ყველა ჯურის მარგინალებს, მათ შორის ქრისტეს ეკლესიის მტრებს, – სატანისტებს, – პროპაგანდას უწევს და, აქედან გამომდინარე, აგულიანებს, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფო ტელევიზია, – საზოგადოებრივი არხი. დარბევამდე ცოტა ხნით ადრე, ა.წ. 24 მაისს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გადაცემული გადაცემა „ჩვენი ექსპრესის“ ერთერთი სიუჟეტი მიეძღვნა სატანიზმს და ინტერვიუს სატანისტთან, და აშკარად ატარებდა პროპაგანდისტულ ხასიათს, თუნდაც იმიტომ, რომ სატანისტთან ინტერვიუმდე და ინტერვიუს შემდეგ წამყვანი თავისი კომენტარით ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ სატანისტები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომ ისინი არ არღვევენ კანონს და რომ ისინი მხოლოდ განსხვავებული სუბკულტურის მიმდევრები არიან. სატანისტთან ინტერვიუ კი სასაფლაოზე შედგა (როგორც ჩანს, სასაფლაო მათი მოქმედების არეალია), რომლის დროსაც სატანისტი პირდაპირ აცხადებს, რომ იგი ეკლესიის წინააღმდეგია და დაუფარავად აძაგებს ქრისტიანობასა და ჩვენს ეკლესიას (იხ. დანართი: DVD ფაილი „სატანიზმი“). პროპაგანდაზე მიუთითებს ისიც, რომ ეს გადაცემა საზოგადოებრივმა არხმა გაიმეორა ა.წ. 26 ივლისს, ამას გარდა იგი განთავსებულია ინტერნეტში ვებგვერდზე (www.teentv.ge).

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არსებობს საკონსტიტუციო შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის, სატანისტის განცხადება, რომ იგი ეკლესიის წინააღმდეგია, თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც განცხადება, მიმართული ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციური წყობის წინააღმდეგ. წარმოიდგინეთ ასეთი ანალოგია: გამოდის სახემწიფო ტელეარხით გარკვეული მიმდინარეობის წარმომადგენელი და აცხადებს, რომ იგი არის საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგი, ტელეარხის პოზიცია კი ამას აფასებს როგორც ნორმალურ, არაკანონსაწინააღმდეგო განცხადებად. დამატებით, თუ რამდენიმე კვირის შემდეგ გაურკვეველი ჯგუფის წარმომადგენლები შეურაცხყოფენ და შემუსრავენ სახელმწიფოებრიობის სიმბოლოებს, რა დასკვნის გაკეთება შეიძლება ყოველივე აქედან?

სასაფლაოზე მომხდარ ფაქტს ჩვენ, მართლმადიდებლები, აღვიქვამთ, ღია ომის გამოცხადებად თუ არა, პირდაპირ გამოწვევად მაინც: სატანისტები და სხვა ჯურის ქრისტიანობის მტრები, შეგულიანებულები სახელმწიფო ტელეარხის უპასუხისმგებლო და ანტისახელმწიფოებრივი პოზიციით, ამოქმედდნენ და შეურაცხყვეს ჩვენი სიწმინდეები. ვინც არ უნდა იდგეს მათ უკან, ჩვენ არ დავუშვებთ ეკლესიის, ჩვენი სარწმუნოების, ჩვენი სიწმინდეებისა და ჩვენი მიცვალებულების შეგინებას და საკადრის პასუხს გავცემთ ქრისტეს მტრებსაც და მათ მფარველებსაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ:

1. სასწრაფოდ და მთელი სისრულით იქნეს გამოძიებული სასაფლაოზე მოხდარი ფაქტი, გამოვლენილი ვანდალიზმის შემოქმედნი და დასჯილნი მთელი სიმკაცრით;
2. საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელობამ პასუხი აგოს სატანიზმის პროპაგანდისათვის. გადაცემა „ჩვენი ექსპრესის“ მესვეურები მიცემულ იქნან პასუხისგებაში ანტიკონსტიტუციური და კანონსაწინააღმდეგო სიუჟეტის გაშვებისათვის. საზოგადოდ, დასახელებული გადაცემა ეწევა სხვადასხვა მარგინალური ჯგუფების: შეფარული სატანიზმის – სიკვდილის თაყვანისცემის (26.01.2008, 10.30, სიუჟეტი „გოთიკა“), ჰომოსექსუალიზმის (2007 წლის 21 ოქტომბრის გადაცემა, სიუჟეტი „Underground“) აშკარა პროპაგანდას, ილაშქრებს ქალიშვილობის ინსტიტუტის წინაღმდეგ (11.11.2007), თინეიჯერებს აგულიანებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებისათვის (31.05.2008, სიუჟეტი „სტენსტილი“) და ა.შ. ეს გადაცემა და, შესაბამისად, საზოგადოებრივი არხი, შეურაცხყოფს ჩვენი ქვეუნის აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიურ გრძნობებსა და ზნეობრიაობას და მოუწოდებს მოზარდებს (ციტატა 11.11.2007-ს გადაცემიდან): **„თუ შეამჩნიე, რომ უმრავლესობის მხარეს ხარ, ეს იმის ნიშანია, რომ დროა შეიცვალო“.** ამგვარად, ეს არხი ფაქტობრივად არის არა საზოგადოებრივი, არამედ გამოკვეთილად ანტისაზოგადოებრივი არხი;
3. აღიკვეთოს საქართველოში სატანისტებისა და სხვა ღია თუ შეფარული დემონიზმის მატარებელი ჯგუფები, რომლებიც სიტყვითა თუ საქმით იღწვიან ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგ.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გაითვალისწინებთ ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს და იღვაწებთ ჩვენი ქვეყნისა და მისი საკონსტიტუციო მოწყობის დაცვისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მრავალი ტაძრის სახელით: (ხელმოწერები)

P.S. ვანდალურ-სატანისტური აქტის ჩადენიდან და ამ წერილის დასახელებული ადრესატებისთვის გაგზავნიდან თითქმის 2 წლი გავიდა, მაგრამ საქმე დღემდე გაუხსნელია, – არავის არაფერი განუცხადებია, არავინ დაუკავებიათ, არავინ დაუსჯიათ. რასთანა გვაქვს საქმე: სამართალდამცავთა არაპროფესიონალიზმთან თუ ანტიმართლმადიდებელთა მიმართ ლოიალობასთან?